წერილის ნომერი: **124-1242311624**
თარიღი: **26/04/2023**

ადრესატი: ელენე ნოდია
მისამართი: მუხიანი, მესამე მიკრო, კორპუსი 1

მოქალაქე: ელენე ნოდია

პირადი ნომერი: 01001101451

მისამართი: მუხიანი, მესამე მიკრო, კორპუსი 1

ელფოსტა: foi+request-1837-aa88fc1b@askgov.ge

ქალბატონო ელენე,

თქვენი 2023 წლის 18 აპრილს შემოსული N19/1242310913-01 განცხადების პასუხად წარმოგიდგენთ მოთხოვნილ ინფორმაციას 2014 წლიდან დღემდე:

2014 წელს გამგეობაში (ამჟამად მერიაში) დასაქმებული იყო 93 მოხელე, წლის განმავლობაში პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა 7 ადამიანი;

2015 წელს გამგეობაში (ამჟამად მერიაში) დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 112 ადამიანს, გათავისუფლებულთა რაოდენობა კი 21. მათგან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა 6, კონკურსის შედეგების მიხედვით 8, ერთი გარდაცვალების გამო, ხოლო 6 სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით;

2016 წელს გამგეობაში დასაქმებულთა რაოდენობა იყო 121 ადამიანი, მათგან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა 12, ერთი გარდაცვალების გამო, 3 კონკურსის შედეგების მიხედვით, ხოლო 5 სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით.

2017 წლისთვის მერიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 122 მოხელეს, გათავისუფლებულთა რაოდენობა კი 9. მათ შორის 6 პირადი განცხადებით, ხოლო 3 სამსახურის შეცვლის გამო;

2018 წელს მერიაში დასაქმებული იყო 109 ადამიანი, გათავისუფლდა 10, მათ შორის 7 პირადი ინიციატივით, 2 სხვა სამსახურში გადასვლის გამო, ერთი გარდაიცვალა;

2019 წელს დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 109 კაცს, გათავისუფლებულთა რაოდენობა კი 11, მათ შორის 5 პირადი განცხადების საფუძველზე, 2

გარდაცვალების გამო, 4 შეიცვალა სამუშაო ადგილი;

2020 წელს მერიაში დასაქმებული იყო 101 კაცი, გარდაცვალების გამო ერთ პირთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა;

2021 წელს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 106 ადამიანს, წლის განმავლობაში გათავისუფლდა 17, მათგან 10 პირადი განცხადების საფუძველზე, 2 გარდაიცვალა, 3 სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლასთან, ხოლო 2 სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით;

2022 წელს მერიაში დასაქმებულთა რაოდენობა იყო 108, გათავისუფლებულთა რაოდენობა კი 8, აქედან 7 პირადი განცხადებით, ერთი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო;

დღეის მდგომარეობით მერიაში დასაქმებულია 109 ადამიანი, ხოლო პირადი ინიციატივით გათავისუფლდა ერთი მოხელე. გათავისუფლებულთა შორის იყვნენ როგორც პირველი და საშუალო რგოლის მენეჯერები, ასევე სხვადასხვა რანგის მოხელეები.

პატივისცემით,

ჯემალ წურწუმია

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი/უფლებამოსილი პირი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, თეთრიწყარო 2300, თამარ მეფის ქ. N34, ტელ: (995 359) 22 23 38
34 TAMAR MEPHE STR. TETRITSKARO 2300, GEORGIA. TEL: (995 359) 22 23 38
E-MAIL: MERIA@TETRITSKARO.GOV.GE WEB:WWW.TETRITSKARO.GOV.GE